



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 59

2014 წლის 5 სექტემბერი

ქ.დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N89 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1-ით დამტკიცებული ცხრილის N1,6 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1	საკრებულოს თავმჯდომარე	700			
6	გამგებელი	700			

2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს 2014 წლის 1 ოქტომბრიდან.